ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

„აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

1947

N 9

დილა

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 9
სექტემბერი
1947

წელიწადი
მეჩვიდმეტე

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

დილა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვევოდა იასა,
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავს.

ტოროლა მაღლა-ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო“.

ამხანაგი სტალინი ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა და დიდ სიყვარულს იჩენდა ლიტერატურისადმი, პოეზიისადმი. თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლის შემდეგ, 1895 წელს, ამხანაგმა სტალინმა დასწერა რამდენიმე ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავის გაზეთ „ივერიაში“. 16 წლის სტალინის ლექსები დიდად მოსწონდა ილიას და თვალსაჩინო ადგილას, პირველ გვერდზე ბეჭდავდა მათ. ლექსები იბეჭდებოდა ი. ჯ—შვილის (ი. ჯუღაშვილი), ხოლო შემდეგ სოსელოს ფსევდონიმით და საყოველთაო მოწონებას იწვევდა.

ამხანაგი სტალინის პირველი ლექსი 1895 წლის 14 ივნისს დაიბეჭდა „ივერიაში“. ეს ლექსი შეტანილი იქნა ი. გოგებაშვილის „დედა-ენაში“ 1916 წელს, ლექსი დაბეჭდილია სახელწოდებით „დილა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 11
4897

ქართველის დედა

ნახატი შალვა ცხადაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველის დედას

ღირსეულო, ტკბილო დედავ,
უდიდესი ქართველის დედავ,
შენი შვილის ნათელ მზის ქვეშ
ბრწყინვალე დღე გაგვითენდა.

მიტომ ვუმღერთ შენს თეთრ ლეჩაქს,
მიტომ ვუმღერთ შენს ჭაღარას —
შენმა ძუძუმ, შენმა ნანამ
შენს ძეს სალხი შეაყვარა.

გახსოვს მისი ურმობის წიგნი,
შენს კალთაში გადაშლილი?
გისაროდეს, შენისთანა
ქვეყნად არვის ჰყავდა შვილი!

გისაროდეს, შენ გაზარდე
გმირი ხალხთა დასახსნელად,
მან დაიხსნა შენი ქართლიც
და საქვეყნოდ ასახელა!

ბედნიერო, ტკბილო დედავ,
უდიდესი ქართველის დედავ,
შენი შვილის ნათელ მზის ქვეშ
ბრწყინვალე დღე გაგვითენდა.

გრიგოლ აბაშიძე

ი. ბ. სტალინი ი. ჭავჭავაძესთან გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში 1895 წელს.
ფოტორეპროდუქცია სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნახატიდან.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲚᲘᲐ

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში, თავადის — გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში.

ილიკო პატარა ტანის, წყნარი, კეთილი და ყველასათვის საყვარელი ბავშვი იყო, წერა-კითხვას მის ტოლ გლეხის ბავშვებთან ერთად სწავლობდა. მოხუცებისაგან ისმენდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს და გადმოცემებს ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან.

გლეხის ბიჭები აცნობდნენ მას თავისი მშობლების გაჭირვებულ ცხოვრებას და პატარა, ჭკვიან ილიკოს ხშირად აფიქრებდა ჩაგრულთა ბედი.

მამამ ილია თბილისის გიმნაზიაში მიაბარა სასწავლებლად.

ილიამ პატარაობიდანვე დაიწყო ლექსების წერა და თავისი კალმით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართველ ხალხს. ქართველი ხალხი დიდი მადლობით კითხულობს და სწავლობს მის მშვენიერ ნაწარმოებებს: „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“ და მრავალ სხვას.

წელს, სექტემბერში შესრულდა 40 წელი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან.

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ბარტო

ახალი სახლი

ცა როგორც კი შეთეთრდება
და ჩიტივით ავფრინდები,
სკოლის ახლოს, მშენებლობის
მაღალ ამწეს ვაკვირდები.

— შენ ისევ აქ ატუზულხარ? —
ორიანებს იღებ ალბად! —
მეუბნება კარისკაცი,
ბრიგადირს კი ვიცნობ კარგად;
ბრიგადირის არ მაქვს შიში —
არც ყურს მიწევს და არც მიშლის.

ბრიგადირი — ძია სერგო
ცნობილია, ყველა აქებს,
აგებს სკოლებს, მოსკოველთა
საცხოვრებელ სახლებს აგებს.
იგი პირველ კალატოზად
მთელს მოსკოვში ცნობილია,
ის სამ ვაგონ აგურს ხარჯავს, —
ცვლაში ჩამომწყობელია...

აი, ხე-ტყე მოაქვს ავტოს,
დაფიცრული, დამორილი.
დაცუნცულებს ფისუნია
სულ-მთლად კირში ამოსვრილი.

მე და გოგი სულ ამ ეზოს
დაზვერვით ვართ გართულები;
აი მუშა კიბეს ჰღებავს,
მონტიორი კართან გვხვდება, —
მიაქვს გრძელი მავთულები.

აი, მღებავს კასრი მიაქვს
და ჩვენც მივდევთ ახლა მღებავს.
აქ, ჩვენს გოგის ვინ არ იცნობს, —
სახლი როგორც დამთავრდება,
ჩვენი გოგი ჩასახლდება.

ეკითხება გოგი მუშებს:
— მე მაძლევენ აქ ერთ ბინას,
თქვით, დასასრულ შეიძლება
გადმოვბარგდე ბარემ შინა?!

უპასუხებს ბრიგადირი:
— დღეს ოსტატი პარკეტს აწყობს,
ხოლო, როდის გადმობარგდეთ,
მას მოსკოვის გეტყვით საბჭო!

... და კვლავ, ყოველშემთხვევისთვის
მეორე დღეს მივაკითხავთ,
მონტიორს და თანაშემწეს
ჩვენ საუბარს ვუბამთ დიდხანს.
ბრიგადირთან მივალთ მერე
და კვლავ ვკითხავთ გასაგებად:
— სთქვით, დასასრულ შეიძლება
ახალ სახლში ჩასახლება?!

გვიპასუხებს: — სართულები
დღეს ნათდება ნათურებით,
ხოლო როდის ჩასახლდებით,
მას მოსკოვის გეტყვით საბჭო,
იგი მართავს და განაგებს
და მოსკოვში ის თავკაცობს!

.. აჰა, დღეა დასვენების,
და გოგისთან ერთად ვხედავ:
ალარც ეზო ძველ ადგილზე,
არც ფარდული გასასვლელთან.
აუღიათ ხის მესერი,
და კრემლისკენ სავალ გზაზე
მზეში ბრწყინავს თეთრი სახლი
და მთელს უბანს ალამაზებს.
... ჰა, მანქანა ეზიდება
ლამაზ ავეჯს, კვირა დილით,
— სახლი საბჭომ ჩაიბარა. —
გვეუბნება ბრიგადირი.
სახლი საბჭომ ჩაიბარა —
მთლად ახალი ასი ბინა...
გთხოვთ მობრძანდეთ ახალ სახლში,
გთხოვთ ეწვიოთ გოგის შინა!

(გადმოკეთებული რუსულიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსკოვში

მუდამ გმირებით ქებული,
მარადჟამს გაბრწყინებული,
ვნახეთ ძვირფასი მოსკოვი,
დიდი და დამშვენებული.

ვიხილეთ მარად ბრწყინვალე
კრემლის მედგარი კედელი,
მტრის მიერ დაუნგრეველი,
მტკიცე და შეუდრეკელი.

ვნახეთ დიადი ლენინი —
ხალხთა მხსნელი და იმედი,
ილიჩის პატივსაცემად
მავზოლეუმში მივედით.

ჩვენ ყველა ერთად ვიყავით
სხვადასხვა ერის შვილები,
ლენინის მზის ქვეშ გაზრდილნი,
სტალინის გამოზრდილები.

მოსკოვის წიგნში ჩავწერეთ
ჩვენი პატარა ხელებით:
„ვნახეთ დიადო მოსკოვო, —
მივდივართ ბედნიერები“.

რევაზ მარგიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდას სტვირი

თანდა და გიგლა სოფლის საქონელს ერთად აძოვებდნენ. გიგლა ზარმაცი ბიჭი იყო. მუდამ გულაღმა იწვა, ხელში პურის ყუა ეჭირა და ილუკმებოდა, თან უბრძანებდა ამხანაგს:

— აბა, თანდა, ის ნიშა ხარი მოაბრუნე!.. ლიტრით ცივი წყალი მოიტანე!.. მე დაღლილი ვარ..

თანდა ბეჯითი ბიჭი იყო. საქონელი ჩრდილში რომ დაეყრებოდა, ხის ძირას დაჯდებოდა, ჩანთიდან საყვარელ წიგნს ამოიღებდა და ხმამაღლა კითხულობდა.

გიგლა კი ბუზღუნებდა:

— სწავლა სკოლაშიაც გეყოფა... ყურები ნუ გამომიჭედე, ხმას დაუწიე!..

ნაწყენი თანდა მოშორებით დაჯდებოდა. გიგლა მაინც არ ასვენებდა, ხან კენჭს ესროდა, ხან ახალ ბრძანებას იგონებდა:

— ბიჭო, ლომა კამეჩი წამოდგა, ყანაში არ გადავიდეს!

თანდა კამეჩებს გახედავდა. ლომა კამეჩი ისევ ჩრდილში იწვა და მადიანად იცოხნებოდა.

* * *

ერთხელ თანდამ ასკილის ღერისაგან სტვირი გამოსჭრა. ჩლუნგი დანა ჰქონდა და ბევრი იწვალა, მაგრამ სტვირი მაინც კარგი გამოუვიდა: საამო წკრიალა ხმა ჰქონდა.

გიგლა შურით აივსო.

შუადღისას თანდა ცივი წყლის მოსატანად წავიდა. გიგლამ იდროვა, ჩანთასთან მიტოვებულ სტვირს ფეხი დაჰკრა და დააბსხვრია.

თანდა რომ დაბრუნდა და დამტვრეული სტვირი დაინახა, ეწყინა, ამხანაგს უსაყვედურა.

გიგლა წამოხტა და თანდას შეუბღვირა:

— ცილს ნუ მწამებ, რა ჩემი ბრალია, სტვირს ხარმა დაადგა ფეხი!

თანდას თვალები ცრემლით აევსო. გიგლამ ამხანაგს წყენა რომ შეატყო, უფრო გაბრაზდა და დასჭყივლა:

წადი და თქვენი ბრიგადის ხარ-კამეჩი ცალკე აძოვე, აბა ვნახოთ, ვინ უფრო მაძღარს მირეკავს სოფელში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანდა ჩუმად იდგა: ამხანაგის მიტოვება არ უნდოდა.

გიგლამ სახრეს ხელი დასტაცა და ნახირიდან რამდენიმე კამეჩი და ხარი გამოარჩია.

— შენ თუ არა, აი, მე გავირეკავ... ვნახოთ, მომნახავ, თუ არა!

გიგლამ თავისი საქონელი სერის გადალმა გადარეკა და თვალს მიეფარა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თანდას საშინელი ყვირილი შემოესმა. გიგლას ხმა იცნო. გიგლა მისკენ მორბოდა. თანდა მიეგება, გამწარებული გიგლა მის წინ დაეცა და ქვითინით შეევედრა:

— სერს გადალმა კოლექტივის ძნა იწვის, მე ფეხი ვიღრძე .. ჩქარა, სოფელს შეატყობინე...

— ცეცხლი როგორ გაჩნდა? — შეეკითხა თანდა.

— მე არ მინდოდა... ისე, ტალკვესს ვაწვალებდი... ნუ დამღუპავ, ჩქარა შეატყობინე...

თანდამ სერზე კვამლი შენიშნა, ადგილს მოსწყდა და სოფლისაკენ გაიქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ მინდვრის გზაზე ხმაური ატყდა. სოფლიდან ხალხი ყიჟინით მორბოდა, წინ პატარა ბიჭი მოუძღოდა.

ხალხი სერს მიეფარა და სულ მალე კვამლიც გაქრა.

* * *

ბინდისას თანდამ და გიგლამ ხარ-კამეჩი სოფლის ორღობეში ერთად შერეკეს.

თანდა მხიარულად მიაბიჯებდა, გიგლა უკან მისდევდა კოჭლობით. თან დარცხვენილი უმზერდა ერთგულ ამხანაგს. ორღობის ბოლოს რომ მიაღწიეს, გიგლა შეჩერდა, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და თანდას დაუძახა:

— თანდა, აი, ეს იმ სტვირის ნაცვლად გქონდეს... წელან შენთვის გავთალე... შევრიგდეთ...

თანდამ გიგლას გამოწვდილ ხელში ახლადგათლილი ასკილის სტვირი დაინახა. გამოართვა, ჩაჰბერა და მხიარულად ააწკრიალა.

— აღარ გაგაჯავრებ. შენ ხომ მეც გადამარჩინე და სოფელიც! — ჩურჩულებდა გიგლა.

თანდა კი ახალ სტვირს ტკბილად აწკრიალებდა და სოფლისკენ გაბედულად მიაბიჯებდა.

გიორგი შაბერაშვილი

ნახატები **გივი გულისაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



* * *

პატარა გორი დიდია,
ბევრის მომსწრე და მნახველი,
ქვეყნებში რეკავს ზარივით
მისი ქართული სახელი.

ირაკლი აბაშიძე

* * *

აქ ცეცხლში ბრძმედილ რკინად,
იდგა ტოლი და სწორი:
ომი მიაჩნდათ ლხინად,
ასეთი იყო გორი...
კაცობრიობის ბრწყინვად
სჩანდა ვარსკვლავი შორი.

გაღაქვიონი

* * *

გორი კრემლს ესიტყვება
შენი სიბრძნით ქებული.
ქართლი უფრო დამშვენდა,
აღდგა განახლებული.

ი. გრიშაშვილი.

* * *

შენ—მადლობა, შენ – დიდება,
მწვანიანო მიწის პირო,
ოქროს საბლით მოზომილო,
შე პატარა გორის ძირო.

გიორგი ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორო, ქართლის შუაგულო,—მეთაურო ქართლისაო,
ადრეც ღირსად წამებულო, დღესაც მთქმელო მართლისაო.

აკაკი

ნახატი ს. კეცხოველისა

* * *

მოდიან ირგვლივ, მოდიან შორით,
დღეა თუ ღამე, ზაფხულ-ზამთარი,
რომ ნახონ გორი,
პატარა გორი,
ნატვრისთვალივით ქართლში ჩამჯდარი.

ალიო მირცხულავა (მაშაშვილი)

* * *

საქართველოში ციხეა ორი:
ერთი მათგანი — თმოგვი ხნიერი,
ხოლო მეორე—უბადლო გორი,
გულმაგარი და მკერდგანიერი.

კონსტანტინე ჭიჭინაძე

* * *

თმოგვის ციხიდან, მტკვარი ეჟვნებით,
მოჰქრის და წვება ქართლის რიყეზე.
ჩვენ მტკვარს ფეხდაფეხ ავედევნებით
და ავმაღლდებით გორის ციხეზე.
მიწას მიკრული, როგორც მტკაველი,
მტკვარი ელვარებს ქართლის უბეში,
თითქოს გადააქვს ხმა რუსთაველის
საუკუნიდან-საუკუნეში.

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ახლა მოსწავლეა

ამ ზაფხულზე შვიდი წელი
შეუსრულდა კეკლუც ნელის,
აუხდინა დედიკომ
ამდენი ხნის სანატრელი;
კოხტა კაბა შეუკერა.
მოუტანა მამამ ჩანთა.
წიგნები და რვეულები
სულ წინდაწინ გაიმზადა.
ჰა, პირველი სექტემბერიც,
სიამით სძგერს ნორჩი გული;
ცალი ხელით ჩანთა მიაქვს,
მეორეთი — თაიგული.
აი სკოლაც; ბავშვთა ლაშქარს
შეუერთდა ჩვენი ნელი
და მიუძღვნა მასწავლებელს
ყვავილები მშვენიერი.
პირველ კლასში შეიყვანეს,
ახალ მერხზე დასვეს ნელი...
ნელი ახლა მოსწავლეა,
ბედნიერზე ბედნიერი.

არნო ონელი

ნახატი **რ. სტურუასი**

პირიმზე

ყოველ დილით მეღვიძება
ერთი ქალის ყვირილზე:
— სად წასულხარ მაგ სიშორეს,
გესმის, ქალო პირიმზე?

პირიმზე კი არხეინად,
როგორც ნაზი პეპელა,
დაჰქრის მინდვრად სამკურნალო
ბალახების მკრეფელად.

ჯერ ბეჯითად აკვირდება
ყვავილებს და ბალახებს,
მერე სწყვეტს და კოხტად ჰკრავს,
კალათაში ალაგებს.

ახლა აღარ მეღვიძება
მისი დედის ყვირილზე,
რადგან სკოლის დავალება
შეასრულა პირიმზემ.

ი. გრიშაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ გავაგებინო?

ოთახში არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო. არ ისმოდა სკამების ბრახა-ბრუხი, ქაღალდის შრიალი და ბურთის გრიალი.

ბებიამ ყური მიუგდო.

— გუგა, სადა ხარ?

ბავშვი ხმას არ იღებდა, ბებიამ ოთახში შეიხედა.

ჩაფიქრებული გუგა კუთხეში იდგა.

— გუგა, რა დაგემართა!— შეეკითხა ბებია.

— ბები, როგორ უნდა გავაგებინო მია სტალინს, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარს.

— რად გინდა გააგებინო?

— მინდა, რომ მეც ვუყვარდე.

— მია სტალინს ყველა ბავშვი უყვარს და შენცა, მათ შორის.

— არა, მე მინდა ნამდვილად ვუყვარდე, აი, მე, გუგა!—დაჟინებით ამბობდა ბავშვი.

— მაშ თუ აგრეა, ძალიან კარგად უნდა ისწავლო, საშობლო ასახელო, ბეჯითი უნდა იყო; მია სტალინი ამას გაიგებს და უეჭველად შეგიყვარებს, — არიგებდა ბავშვს ბებია.

— მაშ, კარგი,—დაეთანხმა გუგა:—მე ახლავე მოვიტან ჩემს ანბანს და დავიწყებ სწავლას!

გუგამ მარდად გამოიღო თავისი კარადა, გადმოიღო მოძრავი ანბანი, რომელსაც მანამდე ხელს არ აკარებდა, და ანბანის სწავლას შეუდგა.

მაკიჯანი

ნახატი **დ. გაბაშვილისა**

პაწაწინა ლექსები

ზღვა და ლალი

პირველად რომ ზღვას შეხედა
პაწაწინა ლალიმ,
— "დიდი წყალი"! — დაიძახა,
გაუბრწყინდა თვალი.

დედამ ზღვაში აბანავა,
არ შეშინდა ქალი,
მხოლოდ ეს სთქვა: „რად მინდოდა
ამოდენა წყალი?

ფისუნა და შაქარი

„მიავ-მიავ!“ ფისუნამ
შაქარი დაიწუნა.
„ტკბილიათო“, არ ჭამა,
მხოლოდ ცოტა დასუნა,

ილია სიხარულიძე

ნახატები ანდრო კანდელაკისა

ნახეთ, როგორ ვიბეჯითო!

კვლავ დავბრუნდით... დერეფანში
სიხარულით შევდგი ფეხი,
მაგრამ დახეთ, ძლივს ვიცანი
ჩემი სკოლა, ჩემი მერხი;

ყველაფერი შეუღებავთ,
ყველაფერთან ვიგრძენ კრძალვა
და ვსთქვი: ასეთ კარგ სკოლაში
საამოა მართლაც სწავლა.

მაგრამ — წელსაც გაჯობებო,
მაგრძნობინებს ნინო ვითომ...
ძლიერ ცდება, ძლიერ ცდება,
ნახეთ, როგორ ვიბეჯითო!

ძველებურად არ ვიცელქებ,
არ დავჯღაბნი ფანჯრებს, კარებს;
კარგი სწავლით დედას, მამას
და სამშობლოს გავახარებ.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატროსის ძაღლი

ნავსადგურში ხშირად მინახავს მოხუცი, უცოლშვილო მატროსი გიორგი. მას ყოველთვის თან ახლდა მეგობარი — დიდი, შავი ძაღლი. გიორგის მოვალეობას შეადგენდა: გემს დახვედროდა და გემის დატვირთვისათვის თვალყური ედევნებინა.

როცა გემიდან ნაპირზე ბაგირს გადააგდებდნენ და გიორგი ხელს დასტაცებდა მას, ძაღლი იქვე დახტოდა და დარბოდა, თითქო ეხმაოებოდა მძიმე ბაგირის გაწევაშიო.

გიორგის ხშირად ეხუმრებოდნენ:

— შენს თანაშემწეს ჯამაგირი არ დაუნიშნე?

— აი მაგისი ჯამაგირი, — იტყოდა გიორგი, ჯიბიდან ძეხვს და პურს ამოიღებდა და ძაღლს გადაუგდებდა.

სამამულო ომის დროს ფაშისტების თვითმფრინავებმა ნავსადგური დაბომბეს. აფეთქების ტალღამ გიორგი და ძაღლი ჰაერში აისროლა. გიორგი მაშინვე გარდაიცვალა, ძაღლი კი დიდხანს ეგდო გაბრუებული, ხოლო როცა მოსულიერდა, გიორგის ძებნას შეუდგა.

მას შემდეგ ორმა წელმა განვლო, მაგრამ ერთგული ძაღლი კვლავ დაეძებს თავის პატრონს.

მოჰკრავს თუ არა ყურს გემის საყვირის ხმას, გონიერი ძაღლი ნავსადგურისაკენ მიეშურება და მატროსებს შორის დარბის, თითქოს ეხმარება მათ ბაგირის ამოზიდვაშიო. მერე სათითაოდ დაყნოსავს მატროსებს და მოწყენილი განშორდება: „არა, აქ არ არის ჩემი პატრონი“, — გაიფიქრებს გონებაში, შინ დაბრუნდება და ხმაგაკმეხდილი სახლის კიბეზე ჩაცუცქდება.

ანდრო ლომიძე

ნახატი გიორგი როინიშვილისა

პატარა ბიჭუკელა ვარ...

პატარა ბიჭუკელა ვარ,
დედის ნატვრა და ოცნება,
ყველა რომ მკოცნით, მეხვევით,
გამიშვით, რა მეკოცნება!

რომ წაგეყვანეთ სტალინთან,
აბა სთქვით რა იქნებოდა,
ვილხენდი, გავიხარებდი,
განა ვის ეწყინებოდა?

კრემლში წაყვანას მპირდებით,
როდესაც დიდი გავხდები,
მე ახლა მინდა, წამიყვათ,
სტალინს ხომ უყვარს ბავშვები!

ალეკო შენგელია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცეროდენა

ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი, მოხუცი ცოლქმარი. ერთხელ ბერიკაცი ტყეში წავიდა, ერთი კუნძი მოიდო ზურგზე და შინ მიიტანა, დერეფანში დააგდო და სთქვა: ეჰ, ნეტავი ამ სიბერის დროს ერთი შვილი მომსწრებოდაო.

ბერიკაცი ვახშმობას შეუდგა. კუნძში თურმე ყმაწვილი იჯდა. ბერიკაცს დაუძახა: მამილო, მარტოკა რომ შეექცევი, განა მე კი არა მშიაო.

ბერიკაცი სიხარულით ცას დაეწია. გამოიყვანა და გვერდზე მოისვა. ბიჭი პატარა იყო და ცეროდენა დაარქვეს.

მეორე დღეს ბერიკაცი სახნავად წავიდა: ცეროდენამ უთხრა დედაბერს: დედილო, მომეცი მამას სამხარი წავუღოვო. ვერა, შვილო ჯერ პატარა ხარ, ვერა ზიდავო.

მაგრამ ცეროდენა არ მოეშვა, მოიკიდა ხურჯინი და გასწია. მიუტანა მამას სამხარი და უთხრა: მამი, შენ დაისვენე, მე დავხნავო. სად შეგიძლია, შვილო, ჯერ პატარა ხარო.

ცეროდენამ მაინც დაიწყო ხვნა. ხარებმა რომ გაიწიეს, ცეროდენამ თავი ვერ შეიმაგრა და ხნულში ჩავარდა.

ბერიკაცი შეწუხდა, დაუწყო ძებნა. — აქა ვარ, მამილო, ამომიყვანეო — მოესმა ბელტის ქვეშიდან. გადასწია ბერიკაცმა ბელტი და ამოიყვანა ცეროდენა უვნებელი.

საღამოზე ბერიკაცი ბოსტნის საყარაულოდ უნდა წასულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამილო, მე წავალ საყარაულოდ, შენ მხოლოდ მშვილდ-ისარი გამიკეთეო.

გაუკეთა მშვილდ-ისარი. ცეროდენამ მხარზე გადაიკიდა და გზას გაუდგა.

შუალამისას ერთი დიდი მგელი მოვიდა. დაინახა ცეროდენა და გაუხარდა: ცეროდენავ, ერთ ლუკმად არ მეყოფიო.

ვერ შემჭამო, – უპასუხა ცეროდენამ, მშვილდ-ისარი მოიმარჯვა და შეუტია მგელს. მგელმა ხახა დააღო და ჩვენ ცეროდენას მშვილდ-ისრიანად გადაყლაპვა დაუპირა.

მგელს ერთი კბილი აკლდა, ცეროდენამ იქ მოიკალათა და ისრით დაუწყო მგელს ჩხვლეტა. ასტკივდა მგელს კბილი, ისე ასტკივდა, რომ აღარ იცოდა რა ექნა. შეეხვეწა ცეროდენას – გამოდიო.

გამოდი ვის ეკადრებაო, – გამოსძახა ცეროდენამ.

გამობრძანდიო, – შეევედრა მგელი.

ცეროდენა კი ისრით ღონივრად სჩხვლეტდა: – აქაც კარგადა ვარო.

მგელი კიდევ შეეხვეწა: ოღონდ გამობრძანდი და ერთი ოქროსმატყლოვანი ერკემალი მყავს, იმას გაჩუქებო.

მაშინ კი გამოვიდა ცეროდენა. მგელს კბილი დაუყუჩდა. მისცა ოქროს ერკემალი.

ცხვარმა ბალახს ძოვა რომ დაუწყო, ცეროდენამ იხელთა დრო, შეახტა რქაზე ერკემალს, ზედ ჩამოჯდა და სახლისაკენ წაიყვანა.

დილაადრიან ბერიკაცი ცეროდენას საძებნად წავიდა, ვინ იცის, წუხელ რა დაემართა, ნეტავი მარტო არ გაგვეშვაო.

ხედავს, ცეროდენა ოქროსმატყლოვანი ერკემლის რქაზე ზის, მოერეკება და მოიმღერის.

დედ-მამას ძალიან გაეხარდა: ყოჩაღ, ჩვენო გულადო ვაჟკაცო. წაიყვანეს ის ერკემალი და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ნახატები **შალვა ცხადაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი ს. გაბაშვილისა

თხა და გიგო

იყო ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ სთქვა: მოდი ერთი თავს გამოვიჩენ ბეჯითობითო. გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა თან წიგნი და გავიდა სოფლის მოედანზე. ჩამოჯდა ხეზე, დაიდო წიგნი მუხლზე და დაიწყო ცქერა შიგ, ვითომ ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკუღმა ედო, სრულიად არა კითხულობდა და შიგ ტყუილად იცქირებოდა. მალე ძილი მოერია და თავს ასკილივით აქნევდა. ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნით და წვერის ცანცარით ბაკიდან გარეთ გამოსულიყო. გიგოს თავის კანტური რომ დაინახა, თხას ეგონა ჭიდაობაში მიწვევსო, გაექანა, დაეჯახა რქებით შუბლში, ყირამალა გადაატრიალა და ააღრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო.

ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართობი

ხალხური გამოცანები

1. აგერ-აგერ გორაზედა
წითელი მძივი დამებნა.

2. ოთხო დოთხო, ოთხო ფეხო
მაღლა მთაზე სათიბელო.

3. ფეხი—მიწას,
ტანი—საბძელს,
თავი—ჩვენა.

4. ყველა მიწვება-მოწვება,
ის კაცი ისევ ჭკუნტია.

ნახატები დ. გაბაშვილისა

ანდაზები

1. დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შესჭამსო.
2. კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი არც თავის დედასა.
3. ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ მოეწევა მწევარი.
4. ზარმაცისათვის ყოველთვის უქმე არისო.

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე,
ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ/მგ. რედაქტორი),
ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

25/76.

სიმღერა მოსკოვზე

ვინ არ იცის კრემლის კოშკი
როგორ ცამდის მაღალია,
ცა გუმბათით გაუპია,
ვარსკვლავები დაჰხარიან.
რვაჯერ ასი წელიწადი
დგას და მაინც ახალია...
ვინ არ იცის კრემლის კოშკი
როგორ ცამდის მაღალია!

თეთრი, თეთრი ჩიტუნები
ლურჯ გუნდებში ურევია!
გადიფრინეს გორის ციხე —
სულ ფრთამოხატულებია,
კრემლისაკენ გალივლივდნენ,
მოსკოვს მიეშურებიან...
ვინ არ იცის ის ჩიტები
ჩვენი წრფელი გულებია!

ჰე, უმწიკვლო ფიქრებივით
რომ გაშალეთ ცაში ფრთები,
თეთრო, თეთრო ჩიტუნებო
გადიფრინეთ ლურჯი მთები, —
მიულოცეთ მშობელ მოსკოვს
რვაასი წლის სიხარული
და სახსოვრად მიუტანეთ
საქართველოს სიყვარული.

მურმან ლებანიძე

წარწერა „ДИЛА“ შესრულებულია (ლადო გრიგოლიას) მიერ.
გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდის მხატვრობა ეკუთვნის შალვა ცხადაძეს

„ДИЛА“ - ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ (на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 1 სართ ტელ. 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 98 სტამბის შეკვ. № 1292 ტირაჟი 7000. უე 10487

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კავშირის მრეწვ. სამინისტროს ლიტოგრაფიაში.